

სელფი და ეთნიკური იდენტობა თანამედროვე საქართველოში
თეორიული და ემპირიული კვლევების პრეზენტაცია

ვლადიმერ ლადო გამსახურდია

*შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2019 წლის დიმიტრი უზნაძის
სახელობის სტიპენდიანტი*

ასისტენტ-პროფესორი, თსუ



ლექციის ძირითადი თემატიკა

- ✓ ლექციის ფოკუსში იქნება ადამიანის განვითარებისა და ფუნქციონირებისათვის დამახასიათებელი საკვანძო ასპექტები და თავისებურებები.
- ✓ განვიხილავთ სელფის (თვითობა; მე) და განსაკუთრებით ეთნიკური იდენტობების ფორმირების შესახებ არსებულ როგორც კლასიკურ, ისე უახლეს თეორიულ მიღწევებსა და წარმოდგენებს. შევხებით ფუნდამენტური ფსიქოანთროპოლოგიური თეორიების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობებს.
- ✓ პიროვნული და სოციალური იდენტობების ფორმირება უმნიშვნელოვანესია პიროვნების სრულფასოვანი განვითარებისთვის. ეს კი, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს თანამედროვე, დინამიურ და ცვალებად სამყაროში, სადაც ადამიანებს უამრავ განსხვავებულ ღირებულებას, ნორმასა და წეს-ჩვეულებას შორის უწევთ ორიენტირება და თვითგამორკვევა.
- ✓ სპეციფიკური აქცენტი გაკეთდება გარდატეხის ასაკში იდენტობების ფორმირებასა და პიროვნული ზრდის პროცესებთან დაკავშირებულ გამოწვევებზე.

სელფი და იდენტობები

- ✓ სელფი მე-სთან დაკავშირებული ნებისმიერი კოგნიტური პროცესის, იდეის, აფექტური განცდებისა თუ მოქმედებათა ერთობლიობას წარმოადგენს (Gamsakhurdia, 2019).
- ✓ იდენტობები განსაზღვრავენ ადამიანის ვინაობასა და პოზიციებს საზოგადოებაში. კერძოდ, გენდერულ, ეთნიკურ, ნაციონალურ, პროფესიულ და სხვა არაერთ ჯგუფთან კუთვნილებას.
- ✓ იდენტობების მთლიანობა წარმოადგენს სელფის ბირთვულ ნაწილს და სახეს აძლევს მას. ამდენად, იდენტობების მკაფიო და პოზიტიური განსაზღვრა უმნიშვნელოვანესია ადამიანის ფსიქიკური სიჯანსაღისა და კეთილდღეობისათვის.
- ✓ პიროვნების ჰარმონიული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, რომ ის უამრავი იდენტობა, რომელიც ადამიანს გააჩნია შინაგანად შეთანხმებული იყოს, რაც ცხოვრების ცალკეულ ეტაპზე შესაძლოა არც ისე იოლი მისაღწევი იყოს.

სელფი და იდენტობები

✓ ერთმანეთისგან გამოიყოფა პიროვნული და სოციალური იდენტობები.

- ✓ პიროვნულია ის იდენტობები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის უნიკალურობას. პიროვნული იდენტობები მოიცავენ ისეთ შინაარსებს, რომელიც მაქსიმალურად ინდივიდუალურია და რომლებსაც ადამიანი „საკუთარად“ აღიქვამს.
- ✓ პიროვნული იდენტობა შესაძლებლობას ქმნის, რომ ადამიანმა ვინაობა შეინარჩუნოს მთელი სიცოცხლის მანძილზე. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ადამიანის ამოცნობა იყოს შესაძლებელი. პიროვნული იდენტობის ყველაზე სახიერი მაგალითია საკუთარი სახელი.
- ✓ პერსონალური იდენტობის ძიებაში ჩნდება ისეთი კითხვები როგორებიცაა:

ვინ ვარ მე?

რას წარმოვადგენ?

რისთვის გავჩნდი?

რას ნიშნავს იყო ადამიანი?

რა ნივთები თუ რისი კეთება მიყვარს?

სელფი და იდენტობები

- ✓ სოციალური იდენტობები განსაზღვრავს ადამიანის პოზიციას საზოგადოებრივ სივრცეში. სოციალური იდენტობები ავლენს პიროვნების კუთვნილებას სხვადასხვა მცირე თუ დიდი ზომის ჯგუფებთან.
- ✓ ადამიანს უამრავი სოციალური იდენტობა შეიძლება გააჩნდეს. მაგალითად, შვილი, მშობელი, ნათესავი, მასწავლებელი, ქართველი, გერმანელი, სპორტსმენი, ქალი, კაცი და ა. შ. ყველა ეს პოზიცია სოციალურ იდენტობას წარმოადგენს.
- ✓ სოციალური იდენტობის ქონა უმნიშვნელოვანესია საზოგადოებაში ორიენტირებისა და კომუნიკაციის პროცესში. ისინი განსაზღვრვენ ჩვენს კულტურულ და სიმბოლურ საზღვრებსა და მიმართებას მშობლიურ და უცხო სამყაროებთან.

ეთნიკური კუთვნილება

პროფესიული კუთვნილება

სქესი

თაობა

პინომოცვარულთა კლუბის წევრობა

სელფი - დინამიკური თუ სტაბილური?

- ✓ ფსიქოლოგიური მეცნიერებაში არსებული კლასიკური მიდგომები აქცენტს აკეთებდნენ სელფისა და იდენტობების სტაბილურობასა და უცვლელობაზე (James, 1890). ამ მიდგომის თანახმად, ადამიანი და საზოგადოებები წინასწარ განსაზღვრული და მოცემული ნიშან-თვისებებით ხასიათდებიან და ნაკლებად იცვლებიან.
- ✓ მაგალითად, ითვლებოდა, რომ თუ ადამიანი ერთხელ ჩაითვლებოდა „ემოციურ“ და ნევროტულ ადამიანად, მაშინ კეთდებოდა დაშვება, რომ ის ყოველთვის იყო და იქნება მიდრეკილი ნევროტულობისკენ.

~~ნიჭიერი და ზარმაცი?~~

- ✓ შვედერი (1979) მიუთითებს, რომ სინამდვილეში, პიროვნული ნიშან-თვისებებისა და იდენტობების სტაბილურობის შესახებ მონაცემები არაა სათანადოდ გამყარებული და სანდო. არსებული კვლევები ავლენენ მხოლოდ ტენდენციებს, რომლებიც დროთა განმავლობაში შესაძლებელია შეიცვალოს.
- ✓ შვედერი (1979) ასაბუთებს, რომ ადრეულ ასაკში მიღებულ გამოცდილებასაც კი არ უნდა მივანიჭოთ გადაწყვეტი მნიშვნელობა, რადგან მისი გადააზრების შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს სელფის მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია.

სელფის სხვა საკვანძო მახასიათებლები:

- ✓ სელფის ბაზისური სტრუქტურა ყალიბდება ბავშვის განვითარების პროცესში გარდატეხის ასაკისათვის, თუმცა, დინამიკური ცვალებადობა მთელი ცხოვრების მანძილზე შეიძლება გაგრძელდეს.
- ✓ სელფი პოლიფონიურია (Bakhtin, 1981) და შინაგანი დიალოგის რეჟიმში ფუნქციონირებს. ის შედგება სხვადასხვა ხმებისა და პოზიციებისგან, რომლებიც განსხვავებულ გამოცდილებებსა და კულტურულ ღირებულებებსა და საზოგადოებას წარმოადგენენ. ადამიანს გააჩნია მრავალი „მე-პოზიცია“, რომლებიც შინაგანი დიალოგის პროცესში საკუთარი პოზიციის დაცვას ცდილობენ.
- ✓ პოლიფონიურობა განაპირობებს შინაგან წინააღმდეგობებს, ეჭვებს და დამაბულობის გარკვეულ ხარისხს. სრულფასოვანი ჰარმონია და სიმშვიდე პრაქტიკულად არასოდეს ისადგურებს ადამიანის ფსიქიკაში და ეს ნორმად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა, ცხადია, რომ ადამიანი მიისწრაფის ჰარმონიისაკენ და საამისო სტრატეგიების შემუშავებაც ხდება.
- ✓ სელფის პოლიფონიურობის აღიარება მნიშვნელოვანია იდეებისა და ღირებულებების მრავალფეროვნების წარმოსაჩენად, რომლებსაც ადამიანი ისრუტავს გარემოსთან ურთიერთქმედების პროცესში.
- ✓ ეთნიკური იდენტობა ერთ-ერთი ასეთი ხმაა ჩვენს გონებაში.

სელფის სხვა საკვანძო მახასიათებლები:

- ✓ პოლიფონიურობა ქმნის დეზორგანიზების საფრთხეს, თუმცა, სელფი ქაოსისაგან თავს მე-პოზიციების იერარქიულად ორგანიზების საშუალებით იცავს.
- ✓ პოზიციების, იდეებისა და ღირებულებების იერარქიულად დალაგების პროცესში გამოიყოფა დომინანტური ხმები და მე-პოზიციები, რომლებიც სელფის ღერძულ და ფუნდამენტურ ნაწილს წარმოადგენენ. მაგალითად, საქართველოში ბევრი ადამიანისათვის დომინანტურია დედის პოზიცია/ხმა, ოჯახური ღირებულებები, ღირსება და ა. შ.
- ✓ და, რაც მთავარია, ნებისმიერი ადამიანი ფუნდამენტურად სუბიექტურია. ადამიანი მუდმივად საკუთარი პერსპექტივიდან აფასებს ვითარებას, იქნება ეს მასწავლებელი, მოსწავლე, სტუდენტი თუ ნებისმიერი სხვა პოზიციის მქონე ინდივიდი. ამიტომ, მნიშვნელოვანია მუდმივად ფრთხილად ვიყოთ ვითარებებისა თუ ადამიანების შეფასებისას.
- ✓ თანამედროვე საქართველოში და სხვა არაერთ ქვეყანაში ეთნიკური/ნაციონალური იდენტობა იერარქიის მაღალ საფეხურზე დგას და ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანების ცხოვრებაში (Gamsakhurdia, 2017). სწორედ ეთნიკური იდენტობისა და რელევანტური პროცესების შესახებ ვისაუბრებთ ახლა უფრო დაწვრილებით.

როგორ ყალიბდება სელფი და იდენტობები?

- ✓ ყოველი კონკრეტული სიტუაცია და ადამიანი უნიკალურია. ამდენად, თითოეულ მოსწავლეს და ვითარებას უნდა მიუდგეთ როგორც ახალ გამოწვევას და არასოდეს ჩავჯდეთ არსებულ ჩარჩოებში.
- ✓ სელფის ფორმირების შესახებ უამრავი განსხვავებული შეხედულება არსებობს, თუმცა, მე გამოვყოფ ორ უმთავრეს ფაქტორს, რომლის მნიშვნელობის შესახებაც მეტ-ნაკლებად უმრავლესობა თანხმდება.
- ✓ თვით-რეფლექსია - ბავშვი ადრეული ასაკიდან აკვირდება და იკვლევს როგორც საკუთარ თავს, ისე გარემოს. საკუთარ თავზე რეფლექსიის პროცესში ხდება საკუთარი თავის განსაზღვრა, დამოკიდებულებების ჩამოყალიბება როგორც საკუთარი თავის, ისე გარემომცველი სამყაროსა და საზოგადოდ ცხოვრების მიმართ. თავდაპირველი განცდები დიფუზური და ბუნდოვანია, თუმცა, თანდათან, ზრდის პროცესში ხდება მათი დიფერენციაცია და დაკონკრეტება. კოგნიტური/აფექტური პროცესების დეტალური განხილვა ამ პრეზენტაციის მიზანს სცილდება.
- ✓ სოცოკულტურული მხარდაჭერა და ინტერაქცია - ადამიანი დაბადებიდან იღებს გარემოდან ინფორმაციას იმ საზოგადოების, კულტურისა და მსოფლიოს შესახებ, სადაც მისი შემდგომი ცხოვრება უნდა წარიმართოს. ჩვენ სხვა ადამიანებისგან ვიღებთ ინფორმაციას იმის შესახებ თუ რა არის ან როგორია სამყარო, რა არის სწორი და რა არასწორი, ზნეობრივი თუ უზნეო და ა. შ. სხვა ადამიანებთან ურთიერთობის გარეშე ბავშვი ენასაც ვერ აიდგამს.

ეთნიკური იდენტობის ფორმირებისა და ფუნქციონირების
თავისებურებების შესახებ

- ✓ ეთნიკურობის კვლევის თანამედროვე ეტაპის დაწყება დაკავშირებულია ფრედრიკ ბარტის (1969) სახელთან. ის ეთნიკურობის არაესენციალისტურ ხასიათს უსვამდა ხაზს და მას ერთი კონკრეტული ფუნქციის, ჯგუფების მაორგანიზებელ კონსტრუქტად მიიჩნევდა. ასევე, მან დააყენა ეთნიკურობისა და მასთან პოტენციურად დაკავშირებული ნებისმიერი ელემენტის დინამიკურობის საკითხი.
- ✓ ამგვარად, ფრედრიკ ბარტმა გამოასწორა მანამდე ნაციონალური ხასიათების მკვლევართა შეცდომები, თუმცა, ეს იმდენად რადიკალური ფორმით გააკეთა, რომ სრულიად უგულვებელჰყო ეთნიკური იდენტობის სუბიექტური მნიშვნელობა და ამ მნიშვნელობის საფუძვლად მდებარე შინაარსები. სოციალურ კონსტრუქტივისტულ თეორიის თანახმად, ეთნიკურობა ემოციებისგან სრულიად დაცლილად და მექანიკურ ფენომენად გამოიყურება, რაც არ არის შესაბამისობაში რეალურ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, სადაც ადამიანებს აქვთ მეტ-ნაკლებად ძლიერი ემოციური კავშირი საკუთარ ეთნიკურ ჯგუფთან. ემოციური კავშირი ნათლად ვლინდება ისეთ მოქმედებებში როგორიცაა მაგალითად, სამშობლოსთვის თავგანწირული საქციელი ომში.

- პიაჟეს (1951) კონცეფციის მიხედვით, ბავშვის აზროვნების განვითარება წარმოადგენს მოძრაობას ზოგადი ეგოცენტრულობიდან სამყაროს, სხვა ადამიანებისა და საკუთარი თავის შემეცნების უფრო ობიექტურ პოზიციამდე. სოციალიზაციის პროცესში ეგოცენტრულობა მნიშვნელობას კარგავს, თუმცა, ნარჩუნდება ყურადღების ცენტრში ყოფნის სურვილი.
- ბავშვი თანდათან აღმოაჩენს, რომ არსებობს ობიექტები, რომლებთან იდენტიფიკაციაც შესაძლებელია ისე, რომ არ დაიკარგოს საკუთარი თავის მნიშვნელოვნებისა და ღირებულების განცდა. ასეთ ობიექტებს წარმოადგენენ სოციალური ჯგუფები, მათ შორის ეთნოსები.
- პიაჟეს მიხედვით ინტერპრეტაციის ფოკუსი იწაცვლებს ეგოცენტრიზმიდან სოციოცენტრიზმისკენ. ამ პროცესის შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს ეთნიკური იდენტობის ფორმირებაც.

- თავდაპირველად, ყურადღება ექცევა ადამიანების გარეგნულ ნიშნებს, კანის ფერს, ჩაცმულობას, საკვებს, ჩვეულებებს. მხოლოდ შემდეგ ხდება საერთო წარსულისა თუ ისტორიული ბედის, რელიგიის, ნაციონალური ხასიათებისა და სხვა რთული კონსტრუქციების იდენტიფიცირება.
- ეთნიკური იდენტიფიკაცია იწყება გარეგნული ნიშნების საფუძველზე და ზედაპირულად და თანდათან გადაიზრდება ღრმა, შინაგან კავშირში, რომელიც თანამემამულეებთან აქვთ ადამიანებს.

- ეთნიკური იდენტიფიკაციის პირველ მკრთალ გამოვლინებას მიდგომათა უმრავლესობა 3-4 წლის ასაკისათვის აფიქსირებს. 3 წლის ასაკში ბავში უკვე აღიქვამს კანისა თუ თმის განსხვავებულ ფერს.

➤ ეთნიკურ იდენტობას ახასიათებს მეტ-ნაკლები კონსტანტობა. ადამიანებს აქვთ ეთნიკური იდენტობის მუდმივობისა და უცვლელობის განცდა

➤ შეინიშნება სამი ნიშნის კონსტანტურობის ფიქსაციის მკაფიო თანმიმდევრობა. სქესობრივი იდენტობის უცვლელობის განცდა ჩნდება 2-2.5 წლის ასაკში, რასობრივი იდენტობისა 8-9 წლის ასაკში, ხოლო ეთნიკური იდენტობისა 12-13 წლის ასაკიდან. ეთნიკური იდენტობის ფორმირება უფრო გვიან ხდება, რადგან საჭიროებს სოციოკულტურული ინფორმაციის ფლობას.

- თავდაპირველად ეთნიკური იარლიყების მიწებება სავარაუდოდ სულაც არ არის დაფუძნებული რეალურ შინაარსებზე და უფრო მექანიკურ ხასიათს ატარებს.
- არლოვა (2012) მიუთითებს, რომ ადამიანი თავს რუსს, ყაზახს ან უზბეკს უწოდებს ჯერ კიდევ მანამდე, სანამ საერთოდ გაერკვევა თუ რას ნიშნავს ეს სიტყვები ან გააცნობიერებს ამ ეთნოსების განმასხვავებელ ნიშნებს.
- რომანოვის (2005) კვლევის მონაწილე ხუთი წლის ბავშვებმა ვერ მოახერხეს ერთმანეთთან დაეკავშირებინათ, ეთნიკური იდენტობა, საცხოვრებელი ადგილი, მშობლების ეროვნება, სასაუბრო ენა. მხოლოდ მოზარდები ახერხებდნენ ამ ფენომენებს შორის კავშირების დანახვას.

- თუმცა, ცალკეული კვლევები მიუთითებენ, რომ ეთნიკური იდენტობა შეიძლება ჩამოყალიბდეს ეთნოსის შესახებ ხელშესახები ინფორმაციის ქონის გარეშე. ანუ, იდენტობის განცდა შეიძლება გაჩნდეს წინასწარი განწყობების (predisposition) საფუძველზე.
- ვოჰანის კვლევების მიხედვით, არ არსებობს კორელაცია 6-7 წლის ასაკის ბავშვების მიერ ინფორმაციის ამა თუ იმ ოდენობით ქონა ცალკეული ეთნიკური ჯგუფების სასარგებლოდ არჩევანის გაკეთებასთან. ანუ ბავშვი სულაც არ აკეთებს არჩევანს იმ ჯგუფის სასარგებლოდ, რომლის შესახებაც ყველაზე მეტი ინფორმაცია აქვს, ეს ორი ფაქტორი არ არის დაკავშირებული ერთმანეთთან (Vaughan, 1987).

➤ ასაკის მატებასთან და განვითარებასთან ერთად ეთნიკური ატიტუდები იხვეწება და დიფერენცირდება.

- კვლევები უჩვენებს, რომ ასაკის მატებასთან ერთად ემოციურ კომპონენტზე დაფუძნებული შეფასებები მცირდება და დროთა განმავლობაში უფრო ინფორმაციაზე დაფუძნებული შეფასებები იწევს წინა პლანზე.
- სკოლამდელ ასაკში ბავშვი ცალსახად პოზიტიურად აფასებს საკუთარ ჯგუფს, თუმცა, დროთა განმავლობაში მეტი ინფორმაციის მოგროვების შედეგად მისი შეხედულებები უფრო დიფერენცირებული ხდება. თანდათან მატულობს იმ ნიშნებისა და მახასიათებლების ოდენობა, რომლის საფუძველზეც ხდება ეთნოსების მიმართ შედარებით უფრო რაციონალური დამოკიდებულების ჩამოყალიბება.

- ფინიმ (1991) ერიქსონისა და მარსიას სტადიალური პიროვნული იდენტობის ფორმირების მოდელის საფუძველზე შეიმუშავა ეთნიკური იდენტობის ფორმირების მოდელი, რომელიც სამ სტადიას მოიცავს.

I სტადია

- პირველ სტადიას ფინი-მ უწოდა **შეუმოწმებელი იდენტობის** სტადია. ეს სტადია ხასიათდება ეთნიკური იდენტობისა და ეთნიკურობისადმი **ინდიფერენტულობით**. ამ ეტაპზე ადამიანს არ აინტერესებს ეთნიკური ჯგუფის არსებობის საფუძვლები თუ მისი წევრობის საკითხი.
- ამ ეტაპზე იმყოფებიან გარდატეხის ასაკის ადრეულ ეტაპზე მყოფი მოზარდები და ასევე, ის მოზარდილები ვისაც ეთნიკური იდენტიფიკაციის პრობლემა არ უდგება ცხოვრებაში.
- შეუმოწმებელი იდენტობის ეტაპზე მყოფი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები ხშირად უპირატესობას ანიჭებენ დომინანტური ეთნიკური ჯგუფის სტატუსს, თუმცა, ამგვარი მიდგომა არ არის აბსოლუტური.

I სტადია

- შეუმოწმებელი იდენტობის სტადია შეიძლება დაიყოს ორ ქვესტადიად:
- 1. დიფუზური იდენტობის შემთხვევაში მოზარდებს უბრალოდ არ აინტერესებთ ეთნიკური იდენტიფიკაცია და ეთნიკურობა. ისინი არ ფიქრობენ ამ საკითხზე.
- 2. წინასწარი იდენტობა, როდესაც მოზარდები მშობლებისგან და უმრავლესობისგან იღებენ პოზიტიურ ატიტუდებს საკუთარი ეთნოსის მიმართ და მისთვის უპირატესობის მინიჭებას იწყებენ.

II სტადია

- მეორე სტადია გულისხმობს იდენტობის ძიების ფაზას. ამ დროს ადამიანი იწყებს იმაზე ფიქრს თუ რას ნიშნავს ეთნიკურობა, რა მნიშვნელობა აქვს მისთვის პირადად თუ საზოგადოებისათვის.
- ეთნიკური გამოღვიძება შეიძლება მოხდეს პირად ან საზოგადოებრივ ცხოვრებაში რაიმე მოვლენის შედეგად. მაგალითად, ეთნიკური დისკრიმინაციის შემთხვევამ შეიძლება დააპროვოციროს ეთნიკურ საკითხზე ფიქრი.
- ეთნიკური გამოღვიძების ეტაპზე ადამიანი აქტიურად აგროვებს ინფორმაციას საკუთარი ეთნოსისა და კულტურის შესახებ, ლიტერატურის კითხვის, სხვა ადამიანებთან საუბრის, მასმედიისა თუ სხვა საშუალებებით. ეთნიკური კუთვნილების განცდის გამოღვიძებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ისეთი გამოცდილებები, როგორებიცაა ეროვნულ მუზეუმებში ვიზიტები და/ან ტრადიციულ რიტუალებში მონაწილეობამ.

III სტადია

- ფინის მესამე ეტაპზე ხდება ეთნიკური იდენტობის კრიზისის დაძლევა და მისი საბოლოო რეალიზაცია. ამ დროს ხდება ეთნიკური იდენტობის მახასიათებლების მკაფიო აღქმა და მათი სტაბილურობის განცდა. ამასთან ჩნდება საკუთარ ეთნოსთან კუთვნილების განცდა.
- ეთნიკური იდენტობის რეალიზაცია უშუალოდ ემთხვევა პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბებას. ეს ორი ფენომენი განვითარების საერთო პროცესის შემადგენელი ნაწილებს წარმოადგენენ და ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. პიროვნული იდენტობის სრულფასოვანი ფორმირება დაკავშირებულია ეთნიკური იდენტობის პოზიტიურ რეალიზაციასთან.

- ცალკეულმა სოციალურმა ან პოლიტიკურმა პროცესებმა შეიძლება გამოიწვიოს ეთნიკური იდენტობის წინა პლანზე წამოწევა ან პირიქით, დეაქტივაცია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ზოგიერთ ისეთ ქვეყანაში მოიმატა ნაციონალისტურმა განწყობებმა, სადაც ასეთი ნიშნები მანამდე ნაკლებად არსებობდა, მაგალითად, ბელორუსში (Науменко, 1997, с. 81).
- ეთნიკური იდენტობის უფრო ინტენსიური აქტივირება შესაძლებელია მოხდეს დისკრიმინაციულ გარემოში ან პოლიტიკური ელიტების მხრიდან ზეწოლის შედეგად. ამის საუკეთესო მაგალითია ფრანკოს დიქტატორული რეჟიმის პირობებში ბასკური და კატალონიური ნაციონალისტური მოძრაობების გაძლიერება და პოპულარიზაცია მეოცე საუკუნეში.

- ✓ ჯ. დე ვოსმა გამოყო ეთნიკური იდენტობის ფორმირების განმაპირობებელი პარამეტრები: ოჯახში არსებული კავშირებისა და ურთიერთობების თავისებურებები, ოჯახში არსებული როლური განაწილებები, სოციალიზაციის ხასიათი და სოციალური კლიმატი (De Vos, 2001).
- ✓ რაც უფრო მეტად ხდება ეთნიკური სოციალიზაცია, მშობლიურ ენაზე საუბარი, ტრადიციულ რიტუალებში მონაწილეობა და საკუთარი ჯგუფის შესახებ ბავშვებისთვის ინფორმაციის მიწოდება მით უფრო მარტივად და მკაფიოდ უყალიბდება ბავშვს როგორც საკუთარი ეთნოსის მიმართ იდენტიფიკაციის განცდა ისე უცხო ჯგუფების შესახებ წარმოდგენები და მოლოდინები.
- ✓ ეთნიკურ იდენტიფიკაციას ხელს უწყობს ასევე სახლში ტრადიციული და ეთნიკური იდენტობის გამასიმბოლოებელი საგნების ქონა.

- ეთნიკურობის საკითხი დაკავშირებულია კულტურული სისტემის თავისებურებებთანაც. ცალკეულ შემთხვევებში ეთნიკურ იდენტიფიკაციაზე გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს რელიგიური კუთვნილება. ამის მაგალითია, ებრაული ჯგუფი, რომელიც ეთნიკურ იდენტიფიკაციას ძირითადად სწორედ იუდაიზმისადმი კუთვნილების მიხედვით ახდენს.


- გარდატეხის ასაკში შესაძლოა ოჯახზე (მშობლებზე) მეტად უფრო მნიშვნელოვანი გახდეს თანატოლების ჯგუფი და მათი მოსაზრებები.
- ვაინრიჩის კვლევის მიხედვით, ბრიტანეთში მცხოვრები აზიელი მოზარდი ემიგრანტები ახალგაზრდულ სუბკულტურებთან უფრო ძლიერ იდენტიფიკაციას ახდენენ, ვიდრე მშობლიურ აზიურ ან მისგან რადიკალურად განსხვავებულ ბრიტანულ ეთნოსებთან (Weinreich, 1988).
- თანატოლებთან ურთიერთობაზე აქცენტი მშობლიურ და მასპინძელ კულტურებს შორის კონფლიქტისაგან თავის არიდების საშუალებას იძლევა და უფრო მარტივი გამოსავალია, ვიდრე შერეულ იდენტობაზე აქტიური რეფლექსია. ამის მიზეზი ისიცაა, რომ ახალგაზრდა აზიელი ემიგრანტებისათვის მარტივი პასუხი უბრალოდ არ არსებობს, რადგან აზიელ ემიგრანტ მშობლებსა და მასპინძელ ბრიტანულ კულტურას შორის არსებული განსხვავებების გადააზრება არ არის მარტივი და ცალსახა პროცესი.

- ეთნიკური იდენტიფიკაციის პროცესზე გავლენას ახდენს გარემომცველი გარემოს სტრუქტურა. ჰომოგენური გარემო განაპირობებს უფრო მარტივ და ცალსახა ეთნიკურ იდენტიფიკაციას. ამ შემთხვევაში, ადამიანი არ დგება რთული არჩევანის წინაშე და მიჰყვება ერთადერთ მოცემულ გზას. მონოეთნიკურ გარემოში ეთნიკური იდენტობა წინა პლანზე ნაკლებად მოდის და უფრო მიძინებულია.
- ჰეტეროგენულ გარემოში ეთნიკური იდენტიფიკაცია უფრო მეტ გამოწვევებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული და დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, რომლებსაც უკვე შევხეთ (ჯგუფების სტატუსი და ძალაუფლების განაწილება; მშობლების ეროვნება; კულტურული ფონი და ა. შ.).
- ჰეტეროგენულ გარემოში ეთნიკური იდენტობა შეიძლება ნაკლებად ცალსახა იყოს და მეტ-ნაკლები დიფუზურობით ხასიათდებოდეს. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ
- მრავალეროვან გარემოში ეთნიკური იდენტობა უფრო ხშირად მოდის წინა პლანზე, რათა ადამიანებმა საკუთარი თავის რეპრეზენტაცია მოახდინონ. მონოეთნიკურ გარემოში საკუთარი ეთნიკური იდენტობის რეპრეზენტაციის საჭიროება არც კი დგება და მის მიმართ ემოციური დამოკიდებულება შეიძლება შესუსტდეს კიდევ.

- ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს უნდათ თუ არა უფრო აქტიურად უწევთ საკუთარ განსხვავებულობასთან შეხვედრა და მისი დაფიქსირება, რადგან უმრავლესობა მათთვის უცხო ჯგუფს წარმოადგენს.
- ეთნიკური უმცირესობის წევრები ასევე უფრო ხშირად შეიძლება გახდნენ დისკრიმინაციის მსხვერპლი ან ჰქონდეთ ამის თაობაზე შფოთვა და ამდენად, უფრო აქტიურად განიცდიან საკუთარ ეთნიკურ კუთვნილებას. უმრავლესობის წარმომადგენელს შეიძლება არც კი სჭირდებოდეს ყოველდღიურ ცხოვრებაში მის ეთნიკურობაზე დაფიქრება.
- იაჰოდამ და ტომპსონმა დაადგინეს, რომ შოტლანდიაში მცხოვრები პაკისტანელები უფრო აქცენტირებულად აცნობიერებენ საკუთარ ეთნიკურ იდენტობას, ვიდრე შოტლანდიელი ბავშვები. უმცირესობის წარმომადგენელი პაკისტანელები ასევე ფლობენ სტანდარტულ ინფორმაციას ბრიტანელებზე, მაშინ როცა შოტლანდიელებს პაკისტანელების შესახებ პრაქტიკულად არ აქვთ ინფორმაცია.

ქართველთა ეთნიკური იდენტობის ძირითადი განმსაზღვრელი მარკერები

ოჯახის განსაკუთრებული ღირებულება



- ❖ რესპონდენტების საუბრიდან იკვეთება, რომ ქართული იდენტობის იდენტიფიკაციისათვის უმნიშვნელოვანესია პიროვნების მხრიდან პირველადი ჯგუფების (ოჯახის წევრები და სხვა მნიშვნელოვანი ახლობლები) დიდი მნიშვნელობის დეკლარაცია. რესპონდენტები ელიან, რომ ეთნიკური ქართველები საკუთარ ოჯახთან ძლიერ მიჯაჭვულობას გამოავლენენ. ინდივიდსა და ოჯახს შორის კომუნიკაცია მთელი სიცოცხლის მანძილზე ნარჩუნდება.

“აქ (უცხოეთში) ყოფნისას ვაცნობიერებ რამდენად მეტი შესაძლებლობა მაქვს. მაგრამ მაინც მეორეს მხრივ, დიდი ხნით, მუდმივად დარჩენას არც განვიხილავ... დიდი ხნით ყოფნის დროს მახსენდება, ქართველობა კი არა, ჩემი ოჯახი მახსენდება, თბილისის ჰაერზე კი არ ვფიქრობ, თუმცა, შეიძლება თქვა... თუმცა ახლა, რომ ჰკითხო რა არის საქართველოო მე გეტყოდი ჩემი წრეთქო”.

ნინო, 27 წლის

“ოჯახი ყველაფერია ჩემთვის”.


გიორგი, 35 წლის

სექსუალური ქცევის კონსერვატიული კოდექსი



- ❖ მნიშვნელობით მეორე საკვანძო მარკერს წარმოადგენს სექსუალური ქცევის კონსერვატიული ეთიკური კოდექსისადმი ლოიალობის დეკლარირება.

ეპატაჟური მოქმედება



- ❖ ქართველების ერთ-ერთ ყველაზე სახიერ საიდენტიფიკაციო ნიშანს მეტყველების და მოქმედების დემონსტრაციულობა წარმოადგენს. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ქართველები საუბრის პროცესში აზვიადებენ ხოლმე ყველაფერს. ხშირია კონფლიქტური სიტუაციების პროვოცირების შემთხვევებიც. ამავე ტიპის მოქმედებებში შეიძლება მოთავსდეს ხშირად ირაციონალურობამდე მისული ხელგაშლილობა, რომელსაც ეთნიკური ქართველები იჩენენ მაშინაც კი, როდესაც ამის რეალური საჭიროება ან საშუალება არ არსებობს ხოლმე.

*„გულუხვობა როგორც საკუთარი თავის წარმოჩენა, როგორც არტისტიზმი.
ყურადღების ცენტრში ექცევი, ამან გადაიხადა, ამან დაგვპატიჟა. სცენაზე
დგომა გვიყვარს“.*
დავითი, 23 წლის

„ხოცავენ ერთმანეთს მარშუტკებში. არა მე გადაგიხდი არა მეო...“
ნათია, 27 წლის

ფიზიკური გარეგნობის შესახებ

- ❖ რესპონდენტებისთვის პიროვნების ეთნიკური იდენტობის დადგენა უფრო ბუნდოვანი ხდება, თუ ადამიანს ქართველებისგან (კავკასიური თეთრკანიანი რასა) რადიკალურად განსხვავებული ფიზიკური გარეგნობა ახასიათებს. მაგალითად, შავკანიანია ან შუა თუ აღმოსავლეთ აზიური გარეგნობის მატარებელია.

რელიგიური იდენტობის მნიშვნელობა

- ❖ კვლევა გვიჩვენებს, რომ რელიგია საერო ცხოვრების ნაწილი და არსებული სოციოკულტურული კონტექსტის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია. ის მთლიანობის ნაწილია და მას არ გააჩნია დომინანტური ძალა. უფრო პირიქით, ის არსებული სოციოკულტურული ტენდენციების ერთ-ერთი შედეგი და ინდიკატორია და არა საფუძველი. ამ ფონზე, ეთნიკური იდენტობა არის ის განცდა, რომელიც აერთიანებს ყველას, მათ შორის განსხვავებული რელიგიური იდენტობის მქონე ქართველებს.

განსაკუთრებულობის შეგრძნება

- ❖ ქართველებს გააჩნიათ განსაკუთრებულობის შეგრძნება, რასაც საფუძველს უქმნის წარმოდგენა ხანგრძლივი ისტორიის ქონის თაობაზე.

დიდი მადლობა !